



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი N3

ქალაქი ბათუმი

2022 წლის 19 ივლისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე

ესწრებოდნენ:

- | | | |
|-------------------|---|--|
| ირაკლი თავდგირიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| მინდია გოგუაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ლევან ცხოიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| თენგიზ აფხაზავა | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |

ასლან ბალაძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
რიჩარდ სირაბიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ცხვარაძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა კილაბერია	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატო ნაცარიშვილი	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტყარაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან დოლიძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიძიგური	- საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	- საკრებულოს წევრი;

- ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;
- მამუკა ქობულაძე - საკრებულოს წევრი;
- ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი;
- ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;
- ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

- თეკლა კავაზაშვილი -საკრებულოს წევრი;
- კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - ლევან დავითაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კობინაძე;
- ა(ა)იპ - „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ დირექტორი - არჩილ კონცელიძე;
- ა(ა)იპ - „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯაბა ბერიძე;
- ა(ა)იპ - „ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - მამუკა შამილიშვილი;
- ა(ა)იპ - „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორი -ჯუმბერ კობალაძე;
- ა(ა)იპ - „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი -დავით დიასამიძე;

-ა(ა)იპ - „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის“ დირექტორი - თამაზ სალუქვაძე;

სამოქალაქო აქტივისტი - ირმა ზოიძე;

„ბათომის“ თავმჯდომარე - ნინო ინაიშვილი.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელი - თეონა დიასამიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ადმინისტრაციულ საკითხებში - სულიკო შვენთიძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი. სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით წარმოდგენილი 13 საკითხი.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - წამოაყენა წინადადება დღის წესრიგში ავარიულ სახლებზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ განკარგულების პროექტის შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ დღის წესრიგში აკაკი გვიანძის საკითხის შეტანა დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ზ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ნ. ფუტყარაძე, ა. გვიანძი, რ. ხარაზი, ნ. მიძიგური, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ზ. მექვაბიშვილი, ა. ვარშალომიძე, ვ. დარჩია)

წინააღმდეგი - 18

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე)

საკრებულოს წევრი ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი ირაკლი ზოიძე ამჟამად რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობს, რის გამოც ის ვერ ახერხებს საკრებულოს საქმიანობაში მუშაობას, იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულოს დღის წესრიგში წარმოდგენილი მე-9 საკითხის შესაბამისად საკრებულოს წევრის მიერ ბოიკოტის გამოცხადება საკრებულოს წევრს ვერ ჩაეთვლება საკრებულოს სხდომაზე დასწრების საპატიო მიზეზად, ამდენად წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9 საკითხი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი“ ამოღებულ იქნას შემდგომში საკრებულოს მიერ მსჯელობისა და განხილვის მიზნით.

საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №8 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა სამართლებრივი ექსპერტიზა, შესაბამისად მიზანშეწონილია ცვლილების შეტანა აღნიშნულ დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლს მე-4 პუნქტი (სხდომის საპატიო მიზეზით გაცდენის ან ბოიკოტის გამოცხადების დროს) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) საკრებულოსა და საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა საპატიო მიზეზით გაცდენილად ეთვლება, თუ საკრებულოს/კომისიის სხდომის გაცდენის საპატიო მიზეზის არსებობის შესახებ სხდომამდე წერილობით, ხოლო წერილობით შეტყობინების შეუძლებლობის შემთხვევაში ზეპირად ინფორმირებული იქნება კომისიის/საკრებულოს თავმჯდომარე, რასთან დაკავშირებითაც საკრებულოს წევრმა საკრებულოს აპარატში ყოველი თვის არა უადრეს 01 და არაუგვიანეს 02 რიცხვისა წერილობით უნდა წარადგინოს შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.“.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს წევრის პოლიტიკური ნებაა ბოიკოტი გამოუცხადოს სხდომას.

საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ადმინისტრაციულ საკითხებში სულიკო შენთიძე - საკრებულოს საქმიანობაში არ მონაწილეობის გამო ანაზღაურება არ მიეცემა. კანონმდებლობის მიხედვით სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტი. საკრებულოს წევრს აქვს ბოიკოტის უფლება, მაგრამ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების წესის თანახმად ის ვერ ჩაითვლება საპატიო მიზეზად.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის ლაშა კილაბერიას წინადადების, წარმოდგენილი დღის წესრიგიდან ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ნ. ფუტყარაძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ნ. მიმიგური, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. ვარშალომიძე, ვ. დარჩია, ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე)
წინააღმდეგი - 18

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - არჩილ ჩიქოვანი)

საკითხი 2. „ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დევანაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე)

საკითხი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის № 79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 13. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დაწესების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განაკრგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 12 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ნ. ფუტყარაძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ვ. დარჩია. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, მ.ქობულაძე)
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. ძიძიგური)

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტკარაძე - მიესალმა კოლეგებს, დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური და პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ღიმილით შეხვდნენ ერთმანეთს, რომლის დასადასტურებლად მათ სურათი აჩვენა, თუმცა მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით არც დაწყებულა და არც მიმდინარეობს სასამართლო გამოძიება. ასევე როგორც მაჟორიტარი აცხადებს, რომ მატერიალურ დახმარებას მხოლოდ ქართული ოცნების აქტივისტებს უწევენ, სხვა პარტიის წარმომადგენლებს კი უარს ეუბნებიან.

საკრებულოს წევრი ქეთევან ლასტაკანიძე - დღეს აქტუალური საკითხია ბარათაშვილის ქუჩაზე საჯარო სივრცეების იჯარით გადაცემა, რომელიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ მოიჯარეებს 5 წლით გადასცა მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის ხარჯზე. ატრაქციონები და გასართობი საშუალებები სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის უნდა იყოს ხელსაყრელი, რისთვისაც მიმართა თხოვნით, რომ პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით საქმეები გადაიდოს და ბათუმისთვის ღირებული სასიკეთო საქმეები გაკეთდეს.

საკრებულოს წევრი ბაჩი მექვაბიშვილი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის დასწრებას საკრებულოს სხდომაზე მიესალმა, ცდილობდა მასთან შეხვედრას, თუმცა ვერ შეძლო. 1 კვირის განმავლობაში ტურისტულ ადგილებში აკეთებდა ბრიფინგს, სადაც მოსაწესრიგებელია ადგილები. კერძოდ: არდაგანის ტბასთან სუნი და ბაყაყების ყიყინი აწუხებს მოსახლეობას, ჭაჭის კოშკი, ტურისტული ადგილები მოსაწესრიგებელია, საბაგიროსთან საშიში ზონაა. ამგვარი კითხვები ბევრია პასუხის გასაცემად.

საკრებულოს წევრი რევაზ ხარაზი - ქალაქის მერი პასუხისმგებელია ქალაქის მიმართ. დღეს სხდომაზე იხილება პროექტი, რომელიც უმძიმესია ქალაქისთვის. თუ წინა ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები ჰქონდათ, დღეს ჩაბეტონებულ ქალაქს აძლევენ ხმას. ავარიული სახლების პროგრამა არის ქალაქის ერთპიროვნულად ჩაბეტონების პროგრამა, ის იზიარებს პასუხისმგებლობას და არ დაუჭერს მხარს აღნიშნულ საკითხს.

საკრებულოს წევრი ნინო ცხვარაძე - წლების განმავლობაში ესწრებოდა სხდომებს და აღნიშნა, რომ იყვნენ კონსტრუქციულები, მოსახლეობას საკრებულოს წევრებისათვის არ დაუჭერია მხარი იმისთვის, რომ დარბაზში მოაწყონ წარმოდგენები. 4 ივლისიდან დაიწყო სახელმწიფო პროგრამა უშვილო წყვილების დაფინანსების საკითხი. პროგრამით სოციალურად დაუცველი და შშმპ-ები ისარგებლებენ. მათ საკრებულოს წევრ ნატალია ძიძიგურთან ერთად ჰქონდათ საუბარი ქართულ-ებრაულ კლინიკასთან, რომლებიც უშვილო წყვილებს მკურნალობასთან დაკავშირებით გაუკეთებენ ფასდაკლებას.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - კონსტრუქციულად უნდა წარიმართოს საკრებულოს სხდომები. მან აქტიურად დაიწყო მონაწილეობა მოსახლეობასთან შეხვედრებში. სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩაზე სოციალური სახლები ავარიულ მდგომარეობაშია. დეპუტატების მრავალპარტიული ინიციატივაა 25%-იანი ფასდაკლება უშვილო წყვილებისთვის, რისთვისაც მემორანდუმი გაფორმდება კლინიკასთან.

საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია - წინა სხდომაზე აღნიშნა, რომ კოლეგები ნუ მიიღებენ კონკრეტულ ქეისებს. მისთვის დღეს გაუგებარია სათათბირო საბჭოს შექმნა, რომელიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უნდა შედგეს.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - კითხვები არსებობს ავარიულ სახლებზე. მისი ინიციატივის არ დაემატა დღის წესრიგს, ამდენად დღეს დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი არ უნდა განიხილოს.

საკრებულოს წევრი ლაშა კილაბერია - მერს მიმართა დაცვის სამსახურის გაყვანის თაობაზე, რადგან ოპოზიციური პარტია არანაირ შოუს არ დგამს. კითხვებს სვამენ ქალაქისთვის აუცილებელს. პრობლემები უნდა აღმოიფხვრას. თამარის დასახლებიდან ადლიამდე ბევრი საკითხია მოსაწესრიგებელი.

სხდომის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე - რეგლამენტი უნდა დაიცვათ, ქალაქისთვის ყველაფერი გაკეთდება. ავარიული სახლების პრობლემა უნდა მოგვარდეს. მისი მუშაობის პერიოდში საკრებულო იქნება წარმატებული და ქალაქისთვის ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტები გაკეთდება.

საკრებულოს წევრი ალექსანდრე ვარშალომიძე - გოგოლის ქუჩაზე უკანონო მშენებლობის საკითხი პასუხგასაცემია, აეროპორტის გზატკეცილზე არ მუშაობს გარე განათების ლამპიონები, გზები საშინელ მდგომარეობაშია, რაზედაც ბათუმს დღესდღეობით პატრონი არ ჰყავს.

საკრებულოს წევრი ილია ჯინჭარაძე - ჭაობის დასახლებაში ყოველდღიურად ხდება ავარია, პარკინგები მოსაწესრიგებელია და მიმდებარე ტერიტორიებზე უნდა განთავსდეს მაფრთხილებელი ნიშნები. ქალაქის ჭაობის ნაწილსაც ესაჭიროება მოვლა-პატრონობა.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - მეორე სხდომა და ნაციონალური მოძრაობა ეხვეწება ქართულ ოცნებას კონსტრუქციულად მუშაობას.

საკრებულოს წევრი მამუკა ქობულაძე - კონსტრუქციულ მუშაობაზე არასოდეს არ უთქვამთ უარი. კანონის ფარგლებში საქმე უნდა გაკეთდეს ქალაქისთვის. ფრიდონ ხალვაშისა და ხახულის ქუჩებზე მოსაწესრიგებელია ქუჩა, შარაშიძისა და ფრიდონ ხალვაშის კვეთაში გასაკეთებელია ზებრა გადასასვლელი, ჟილინის არხი მოსაწესრიგებელია, ასევე მუნიციპალური ავტობუსის 7 ნომრის სამუშაო გრაფიკი შეიცვალოს 29-ე სკოლასთან გავლით.

საკრებულოს წევრი ლაშა კილაბერია - ცნობისთვის თეკლა კავაზაშვილს დაუდგინდა კოვიდი, ასევე აღნიშნა, რომ სარემონტო სამუშაოების პერიოდში საკრებულოს სხდომათა დარბაზში ადგილების სიმცირის გამო შესაძლებელია იფიქროთ გაფართოებაზე.

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელი თეონა დიასამიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიმართა ავარიულ სახლებთან დაკავშირებით თუ ვინ იწევა სათათბირო საბჭოს შემადგენლობაში, იქნებიან თუ არა სპეციალისტები.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
არჩილ ჩიქოვანი)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომებს სისტემატურად ესწრებოდა. ყველა პასუხისმგებელია მოქალაქის მიმართ, მრავალპარტიულია საკრებულო საერთო გადაწყვეტილების მისაღებად. ატრაქციონებთან დაკავშირებით უპასუხა, რომ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვითაა გამოცხადებული ფასები. ბარათაშვილის ქუჩაზე მოთხოვნა ბავშვთა კუთხის მოწყობის თაობაზე შესრულებულია. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხს ტენდერის გამოცხადების შემდეგ გამოცხადებული კომპანია შეასრულებს სამუშაოებს. ავარიულ სახლებთან დაკავშირებით 3000 ბათუმელ ოჯახს უნდა მოუგვარდეს პრობლემა. ამის ნათელი მაგალითია ოცნების ქალაქი. ბათუმის განაშენიანების გენერალური გეგმა წრმოდგენილი იქნება საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად. დღეს საკანონმდებლო ინიციატივაა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცება. წესში ჩადებულია კონტროლის მექანიზმები. საბჭოს შემადგენლობაში დარგობრივი კომპეტენტური პირები იქნებიან. ინფრასტრუქტურისა და ტურისტულ მზაობასთან დაკავშირებით ეკონომიკური ზრდის ციფრები 18%-იანი ზრდაა, რომელსაც შევინარჩუნებთ. სამომავლო პროექტებს რაც შეეხება დღევანდელი ბიუჯეტია, რომელიც იზრდება 38 მილიონით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 10,980,9 ათასი ლარით, კერძოდ: დამატებული ღირებულების გადასახადები მცირდება - 14.0 ათასი ლარით. საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო

შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად (ფინანსთა მინისტრის 04-03/143486 წერილი). ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება - 27,271.8 ათას ლარით, 2021 წლის ბოლოსათვის ნაშთის დაგროვება განაპირობა ბიუჯეტით განსაზღვრული საკუთრის შემოსავლების დაგემილ საპროგნოზო მაჩვენებლებზე მეტი ფინანსური სახსრების შემოსვლამ, კერძოდ გადასახადების (ქონების და დამატებული ღირებულების გადასახადები) ფარგლებში შესრულებამ - 109.8% შეადგინა (6,907.5 ათასი ლარი) და სხვა შემოსავლების - 144.2% (13,197.7 ათასი ლარი). ასევე გადასახდელების (ხარჯვითი ნაწილი) ფარგლებში რიგი ღონისძიებებში ფაქტიურად შესრულებული მომსახურებისა და სამუშაოების დასრულების შედეგად დარჩენილი ეკონომიამ.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 38,252.7 ათასი ლარით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტყარაძე - თამარ მეფის გამზირზე აუცილებელია გადასასვლელი ადაპტირებული ხიდი, რადგან გასულ წლებში ოთხი მსხვერპლი იყო. გრიშაშვილის ქ.№9-ში ვისი შესახლება იგეგმება, ასევე შემოერთებულ ტერიტორიებზე წყლისა და კანალიზაციის პრობლემაა.

მრჩველთა საბჭოს წევრი ნინო ინაიშვილი - ისტორიული ზონა არ არსებობს, ძველი ბათუმისგან არაფერი დარჩება ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილებების გამო საცხოვრებელი გარემო გაუარესდება.

საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია - კობალაძის და ინასარიძის კუთხეში უბედური შემთხვევით ახალგაზრდა დაიღუპა, რაზედაც მერია აცხადებდა დარღვევა არ ყოფილა. სატრანსპორტო მიკროავტობუსში მოქალაქეებს 50 ლარის ნაცვლად 70 თეთრს ახდევინებენ, რაზედაც აუცილებელია ტრანსპორტში გამოიკრას აბრა გადასახადთან დაკავშირებით და გატარდეს კონტროლი.

საკრებულოს წევრი რევაზ ხარაზი - 950 ათასი ლარი სარეზერვოს ემატება, აუდიტის შენიშვნებს იზიარებს მერია თუ არა? თანხები არასწორად იხარჯება. 500 ათასი ლარით იზრდება გარე განათების მოვლა-პატრონობა, თუმცა აჭარგანათება არასწორად აგრძელებს მუშაობას, ქალაქი ჩაბნელებულია. ავტოტრანსპორტი გაკოტრებული კომპანიაა, საწვავის გამო 4 მილიონი ემატება.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე - ბიუჯეტის ზრდა ქალაქს მიუღობა. საახალწლო განათების ჩანაცვლებაზე იყო საუბარი კომისიის სხდომებზე, რომელსაც მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრებმა.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - სტრატეგიული განვითარების გეგმა ნაჩქარევად დამტკიცდა. შენიშვნები ბევრია, ციფრების ჯამიც არ ემთხვევა ერთმანეთს. ქალაქი იმართება ბრმად. შპს ავტოტრანსპორტს ემატება საწვავის ფასზე სუბსიდია, მუნიციპალური ინსპექციის შენახვაში სოლიდურ თანხას ვუხდით, თუმცა ვერ ხერხდება მათ მიერ კონტროლი. ასევე როდის იგეგმება ახალ ადგილას სასაფლაოების საკითხი, ბიბლიოთეკის შენობისთვის 200 ათასი ლარია გათვალისწინებული და რას უნდა მოხმარდეს.

საკრებულოს წევრი მამუკა ქობულაძე - პრაქტიკული კუთხით ვესაუბროთ მოსახლეობას. ახალ სასაფლაოზე თანხებია დახარჯული, თუმცა პრობლემაა. შეჩერებული მშენებარე სახლების ჩაბარება ვერ ხერხდება და ეს პრობლემა დღის წესრიგშია.

საკრებულოს წევრი ბაჩი მექვაბიშვილი - ქუჩების რეაბილიტაცია წლების განმავლობაში მიმდინარეობს და ასევე ჭაჭის კომპის აღდგენა იგეგმება თუ არა?

სამოქალაქო აქტივისტი ირმა ზოიძე - თვითმმართველობის პრინციპი ირღვევა, საქართველოს პარლამენტმა იმიტომ მოგცათ უფლებამოსილება, რომ ასეთი მასშტაბის გადაწყვეტა არ უნდა მოხდეს ერთპიროვნულად.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი - ბუნებრივია 20 წლის განმავლობაში დაგროვილი საკითხები დღეს ბიუჯეტში ვერ აისახება. მან უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს:

-თამარ მეფის გამზირზე გადასასვლელ ხიდთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქუჩა სარეაბილიტაციოა შავშეთის ქუჩამდე, ეს არის მრავალწლიანი შესყიდვის პროექტი, რომელიც შესაბამის კლიმატურ პერიოდს საჭიროებს.

-გრიშაშვილის 9 ნომერში პირველი რიგის ამოცანაა ავარიული სახლების დემონტაჟი და მოსახლეობის დაკმაყოფილება.

-მუნიციპალური ავტობუსებით სარგებლობს მოსახლეობა, ყველა ქვეყანაში ავტობუსები დოტაციაზე მუშაობს, რადგან სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებს ემსახურებიან უფასოდ.

-მიმდინარე საშტატო განრიგი არ არის გაზრდილი, კლებასთან ან ზრდასთან მიმართებაში ექნებათ არგუმენტირებული პასუხები.

-აუდიტის დასკვნა რეკომენდაციების კრებულია, ეს არ არის საბრალდებო დასკვნა. ყველა სერვისი და პროგრამა მუდმივ რეჟიმში საჭიროებს დახვეწას.

-განათებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საახალწლო დღეებთან ახლოს ჩატარებული კონკურსი არეფექტურია, რის გამოც ადრე უნდა დაიწყოს მუშაობა.

-სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობს და წარმოდგენილი იქნება გენგეგმა. უახლოეს პერიოდში წარმოადგენენ შემდგომი ეტაპის გეგმას.

-სასაფლაოებთან დაკავშირებით რამდენიმე წლის წინ დაწყებული პროცესები არ დასრულებულა. სპეციალისტების თქმით ტერიტორიის ნაწილის გამოყენება შეუძლებელია.

-გოგოლის ქუჩაზე მშენებლობასთან დაკავშირებით არაერთი რეაგირებაა გაკეთებული, მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

-უკანონო მშენებლობებისას ვერ ხერხდება მაცხოვრებლებსა და მშენებელთან მიმართებაში მორიგება, რის საფუძველზე ჭიანჭურდება ექსპლუატაციაში მიღება.

-საბაგრო ტერიტორიის, ჭაჭის თაუერის და სხვა ტურისტული ობიექტებისა აპირებენ რიგი ქუჩის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

-შემოერთებულ ტერიტორიებზე წყლისა და კანალიზაციის პრობლემაა, რომელიც 2027 წლამდე უნდა დასრულდეს.

-საჯარო ბიბლიოთეკის შენობა ავარიული იყო მიმდინარე წლის მაისში გახდა ცნობილი. უკვე არსებობს სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმადაც „ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია, ხოლო ცალკეული ზონები მწვავედ ავარიული და საფრთხის შემცველია. შესყიდვა რომ გამოცხადებულიყო ჯერ უნდა შემუშავდეს პროექტი,

საპროექტო დოკუმენტაცია. გამაგრების იქნება ეს, მონტაჟი-დემონტაჟის, იატაკის ნაწილი თუ ასე შემდეგ... ტექნიკურ დეტალებში აღარ შედის. თვლის, რომ ვინაიდან ჯერ პროექტი არ აქვთ, ეს თანხა ამ წლის ჭრილში იქნება საკმარისი და მომავალ წელს აპირებს, რომ გააკეთონ დანარჩენი ნაწილი, რომელსაც ითვალისწინებს საპროექტო დოკუმენტაცია.“

სხდომის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე - მაძლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ამომწურავი პასუხისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 11 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე)

არ მიიღო მონაწილეობა 2 (ვ. დარჩია, ნ. ფუტკარაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 15 წთ.

სხდომა განახლდა 13.55 სთ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 2. „ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში ფესტივალების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაფინანსების წესი განსაზღვრავს, ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში, ფესტივალების შერჩევის, ხელშეკრულების გაფორმებისა და დაფინანსებასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურის სფეროში, იურიდიული პირის მიერ წარდგენილი საფესტივალო (საერთაშორისო/ადგილობრივი) ღონისძიებების/პროექტების მხარდაჭერას, თანადაფინანსების ფორმატში. ამასთან, პირველ რიგში განიხილება/პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო მიმართულებას. ქვეპროგრამის ასიგნებათა საერთო მოცულობა განისაზღვრება - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამის საბიუჯეტო წელს, ბიუჯეტით, ქვეპროგრამის განხორციელებისათვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. კონკურსში გამარჯვებულ ბენეფიციარსა

და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდგომში - მერია) შორის, ფორმდება ხელშეკრულება. ხელშეკრულებას (დადგენილი ფორმატის შესაბამისად) ამზადებს - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური (შემდგომში - სამსახური). ბენეფიციარი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო ყველა დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, საბანკო რეკვიზიტები და სხვა/მოთხოვნისამებრ).

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე- პირველი მუხლის ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურის სფეროში, იურიდიული პირის მიერ წარდგენილი საფესტივალო ღონისძიებების/პროექტების მხარდაჭერას, თანადაფინანსების ფორმატში, მან დასვა კითხვა რატომ არ არის გათვალისწინებული ფიზიკური პირი?, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებულია 600 ათასი ლარი, რომელიც იურიდიულ პირზეა გათვლილი, რადგან ამას სჭირდება გამოცდილება, კომპეტენცია და რესურსი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 12 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ.

მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ნ. ფუტყარაძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშე-მწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემურ და გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების არსებობა, მათ შორის ისეთი ავარიული საცხოვრებელი სახლების არსებობა, რომლებიც გამაგრებას არ ექვემდებარება და საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დღეის მდგომარეობით მომზადებულია 124 ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საესპერტო დასკვნა, რომლებიც წარმოადგენს საფრთხის შემცველ საცხოვრისს, რომლებშიც ცხოვრობს დაახლოებით 3000 ოჯახი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები არ არის საბოლოო და შესაძლებელია გაიზარდოს ახალ მისამართებზე მომავალში ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნების შესაბამისად. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით შემუშავებული იქნა ავარიული სახლების ჩანაცვლება/რეაბილიტაციის 4 წლიანი პროგრამა (ბიუჯეტი **80 000 00 ლარი**):

პროგრამის ბიუჯეტი წლების მიხედვით:

- 2022 წელს 20 000 000 ლარი;
- 2023 წელს 20 000 000 ლარი;
- 2024 წელს 20 000 000 ლარი;
- 2025 წელს 20 000 000 ლარი.

გარდა ზემოაღნიშნული პროგრამისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 29 მარტის N159 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავდებობას საფინანსო ორგანიზაციებთან ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული საკრედიტო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამ ურთულესი გამოწვევის დაძლევა და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდება მხოლოდ ზემოაღნიშნული პროგრამების გამოყენებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია საკითხის გადაწყვეტა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და მხარდაჭერით, მათ შორის, სამშენებლო-დეველოპერული კომპანიების ჩართულობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებით დამტკიცებული იქნა ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი, რაც შესაძლებელს გახდის ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებას ახალი თანამოდროვე ტიპის საცხოვრებელი სახლებით, რითაც დაკმაყოფილებული იქნება მასში მცხოვრები მოსახლეობა.

ასევე, მუნიციპალიტეტისათვის პრობლემურ საკითხად რჩება როგორც კოოპერატიული და დაუმთავრებელი მშენებლობების გამო დაზარალებულთა დაკმაყოფილების საკითხი, ისე განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან/და მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტების განხორციელების ხელშეწყობის საკითხი, რის გამოც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს

კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლითაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს მიენიჭათ უფლებამოსილება მოახდინონ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისაგან (შენობა-ნაგებობათა მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით/განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები, სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციები, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესის, ავტოსადგომების რაოდენობისა და სხვა) განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილების შეტანა. აღნიშნულის განხორციელება ხსენებული კანონით შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთზე;

ბ) განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან/და მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელებისას, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში;

გ) ავარიული შენობა-ნაგებობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან მრავალბინიანი, საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობა) ჩანაცვლების მიზნით;

დ) იმ ობიექტის დასრულების მიზნით, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად.

კანონის შეტანილი ცვლილებების მიხედვით 2022 წლის 1 სექტემბრამდე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით უნდა დაამტკიცოს დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების წესი და ამ მიზნით შექმნილი სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი რევაზ ხარაზი - მომხსენებელი საუბრობს ჩამკეტ მექანიზმებზე და ეს დოკუმენტი დაარეგულირებს. სათათბირო საბჭო თუ აუცილებელია მერია რატომ აკონკრეტებს, საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას. მას არ სჯერა იმ ხელისუფლების წარმომადგენლის, ვინც ჩააბეტონა ქალაქი, აქედან გამომდინარე ამოღებული იქნას საკითხი დღის წესრიგიდან.

საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია - სათათბირო გუნდი, რეგულაციები თუ მნიშვნელოვანია კანონპროექტის მიღებამდე მათ ეს უნდა სცოდნოდათ. საბჭოს შემადგენლობას ვერ იცნობენ და ამდენად პასუხისმგებლობას ვერ მიიღებს.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - თვითმ-

მართველობის ფუნქციაა მოსახლეობასთან მუშაობა. მაქსიმალური გამჭვირვალობის პროცესი არის მიზანი. ამ წესშიც და წინა წესშიც კონსულტაციები არ გავლილა. მათი მთავარი კითხვებია სისტემაში მოყვანა. საბჭოს დაკომპლექტების წესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე.

მომხსენებელი - უპასუხა კითხვებს: საკრებულოს ჩართულობა გამოიხატება, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს. ცალსახად არის გამიჯნული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენცია. რაც შეეხება კორუფციის რისკების დარღვევას, ეს რისკები დაზღვეული იყო. ამ საკითხებთან დაკავშირებით საკრებულო იმსჯელებს. ამ წესის მიზანია:

ა) შესაბამისი სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავარიული შენობების ლიკვიდაციის და მათ ნაცვლად თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლების, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების ხელშეწყობა, ასევე განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან/და მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების ხელშეწყობა;

გ) მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და უსაფრთხო საცხოვრისი გარემოს შექმნა;

დ) ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;

ე) ინვესტიციების მოზიდვა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

ვ) მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდის შევსება.

სამოქალაქო აქტივისტი ირმა ზოიძე - საბჭო უნდა დაკომპლექტდეს ისე, რომ ქალაქის მერმა ვერ მიიღოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილება და ასევე საბჭოში არ უნდა იყოს საჯარო მოხელეები.

მომხსენებელი - დადგენილების პროექტის მიხედვით ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების, ასევე სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცება, რომლითაც განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული შენობების ლიკვიდაციის და მათ ნაცვლად თანამედროვე ტიპის

საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლების, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების ხელშეწყობის, ასევე განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან/და მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების წინაპირობები, წარსადგენი დოკუმენტაცია, განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესები, ასევე ამ მიზნით შექმნილი სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

არ ესწრებოდა: 1(ნ. ფუტკარაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 12 (ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ.

მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ნ. ფუტკარაძე, ა. გვიანიძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე)

არ მიიღო მონაწილეობა -1 (ნ. ძიძიგური)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს სხდომათა დარბაზი დატოვა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობის“ წევრებმა: ლ. კილაბერია, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ნ. ფუტკარაძე, რ. ხარაზი, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, მ. ქობულაძე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გარკვეული პროფესიები საპენსიო ასაკს ითვალისწინებს ადრეულ ასაკში და მათ არ უგროვდებათ 30 წლიანი სამუშაო გამოცდილება, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ სფეროში აქვთ მნიშვნელოვანი წარმა-

ტეხები. გამომდინარე აქედან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილება ითვალისწინებს ცვლილებას და დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის“ თანახმად: „დამსახურებული მოღვაწის წოდება შესაძლებელია მიენიჭოს პირს, რომელიც იმსახურებს საზოგადოების მხრიდან აღიარებას და მადლობის გამოცხადებას შესაბამის პროფესიულ სფეროში (დარგში) ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობისთვის, არანაკლებ 30-წლიანი გამოცდილებისა“ უნდა შემცირდეს და განისაზღვროს არანაკლებ 20 წლიანი გამოცდილებით.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვით დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებისა და ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესი“-ს პირველი მუხლის 2.3. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ა) ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობისთვის, არანაკლებ 20-წლიანი გამოცდილება“.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის Nგ-15.15221684 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი,

რომლის განმახორციელებელია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური. სამსახურის დებულების თანახმად, სამსახურს არ ჰყავს თანამშრომელი, რომელიც აღნიშნული ფუნქციითაა დასაქმებული. გამომდინარე აქედან, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის მიმდინარეობისათვის და სრულყოფილად განხორციელებისათვის (კერძოდ: დოკუმენტების გადა-რჩევა/მომზადება, ხელშეკრულებების გაფორმება და სხვა) სამსახურს ესაჭიროება შრომითი ხელშეკრულებით სამი თანამშრომლის აყვანა. ვინაიდან „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N78 განკარგულებით შეთანხმებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 37 ერთეულისა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის 37 ერთეულის გაზრდას 3 ერთეულით.

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N78 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვით შეთანხმებულ უნდა იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 40 ერთეულისა.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3 (ნ. მიძიგური, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მომძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი საპრივატიზებო საფასურის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ვ. დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის
სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №გ-15.15221684 განკარგულებით დამტკიცებული იქნა ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი, რაც შესაძლებელს გახდის ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებას ახალი თანამოდროვე ტიპის საცხოვრებელი სახლებით, რითაც დაკმაყოფილებული

იქნება მასში მცხოვრები მოსახლეობა. წესის შესაბამისად ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამაში შესაძლებელია ჩაერთოს მხოლოდ ის ამხანაგობები, რომელთა წევრების 100 პროცენტი განაცხადებს თანხმობას პროგრამაში ჩართვის თაობაზე. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით კი არ იქნება სავალდებულო 100 პროცენტის თანხმობა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოჯახები განკარგულების ამოქმედებამდე მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირის კომპენსაციით, ასევე ამ წესის შესაბამისად გადაუდებელი აუცილებლობით გაყვანილი იქნებიან ბინის ქირის კომპენსაციით მუნიციპალიტეტის მიერ. ასეთ შემთხვევაში ეს ოჯახები შესაძლებელია დაკმაყოფილებული იქნან საცხოვრებელი ბინებით მუნიციპალური საბინაო ფონდიდან (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინო ფონდის რესურსის ფარგლებში), თუ მიღწეული იქნება შეთანხმება უძრავი ქონების მონაცვლეობის თაობაზე. წარმოდგენილი სახით განკარგულების მიღების მიზანია მუნიციპალური საბინაო ფონდის გამოყენებით საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა (ბინების გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად შეწყდება ბინის ქირის კომპენსაციის გაცემა).

ამ წესით განსაზღვრულ საკითხებზე საჭიროებისას სხვა პირობებს ადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

ის ოჯახები, რომლებიც ამ განკარგულების ამოქმედებამდე მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირის კომპენსაციით, ასევე ამ წესის შესაბამისად გადაუდებელი აუცილებლობით გაყვანილი ოჯახები, რომელთა უზრუნველყოფაც მოხდება ბინის ქირის კომპენსაციით მუნიციპალიტეტის მიერ, შესაძლებელია დაკმაყოფილებული იქნან საცხოვრებელი ბინებით მუნიციპალური საბინაო ფონდიდან (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინო ფონდის რესურსის ფარგლებში), იმ შემთხვევაში თუ მიღწეული იქნება შეთანხმება უძრავი ქონების მონაცვლეობის თაობაზე (ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული ყველა მესაკუთრის თანხობის წარმოდგენის ვალდებულება). ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტი ასევე უფლებამოსილია დაინტერესებულ პირებს სანაცვლოდ გადასცეს სამართლიანი და სრული კომპენსაციის თანხა.“.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3(ნ. ძიმიგური, ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მთისძინეს:

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ სამართლებრივი აქტებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ლაშა მამულაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2020 წლის 17 ივლისის განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მერიის სტრუქტურული ერთეულის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი აღსრულება სამართალდარღვევის ფაქტის ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას, ასევე მუნიციპალიტეტებს მიეცათ უფლება დაადგინონ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესი.

განხორციელებული ცვლილებით საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125³ მუხლი, რომლითაც წესრიგდება ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში პარკირების წესების დარღვევის საკითხები არ იქნა მითითებული.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2022 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებებით (1525, 1522) სამართალდარღვევის ფაქტის ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას დგინდება კოდექსის 125³ და 135 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის დაკისრება, ასევე ცვლილებით 2022 წლის 01 აგვისტომდე უნდა მოხდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125³ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცება.

პროექტით ცვლილება შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის პირველ, მე-3 და მეხუთე მუხლებში. კერძოდ წესის პირველ მუხლში მიეთითება სამართალდარღვევათა ის კონკრეტული მუხლები, რომლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე ვრცელდება აღიშნული წესი, მათ შორის კოდექსის 125³ და 135 მუხლები.

ასევე, წესის მე-3 მუხლს ემატება მე-4 პუნქტი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს გასაჩივრების შემთხვევაში, სამართალდარღვევის საქმეზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევითა კოდექსის 278-ე მუხლის საფუძველზე გამოტანილი დადგენილების ჩაბარებისა და გამოქვეყნების წესს.

ასევე ზუსტდება, წესის მე-5 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, დაჯარიმების შესახებ ინფორმაციის პირისათვის გაგზავნას.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგ დადგენილებებში:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილება.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების

თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილება; „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილება;

წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ აქტებში ტექნიკური ხარვეზით, აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებასა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2(ა. გვიანიძე, ვ. დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №77 დადგენილების 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით - ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე - საბჭოს შემადგენლობაში გაერთიანებული არიან საჯარო მოხელეების გარდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - მომავალში სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანისას იყოს ფართო ჩართულობა.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:21

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის № 79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით:

საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს.

ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. თუმცა საფუძვლიანი გარემოების არსებობისას, საჯარო დაწესებულების მუშაობის ხელშეწყობის მიზნით გამონაკლისის სახით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის შემთხვევაში საკრებულოსთან შეთანხმებით საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ზევით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მოწვევა კერძოდ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაშვებას მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების დეტალური გეგმის გარეშე შესაძლებელია განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა. ასევე დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით (შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი (გარდა განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტისა და გამწვანების კოეფიციენტისა)) გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციისა და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილებების შეტანა.

აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით აყვანილი იქნას პირი არქიტექტურული მიმართულებით ფუნქციების შესასრულებლად.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა, საკრებულოს თანამდებობის პირთა რაოდენობის გაზრდის შესაბამისად საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს და მუდმივმოქმედ კომისიის სხდომებზე დამსწრე წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით აღნიშნულ სფეროში სხვადასხვა ფუნქციათა შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი იქნას თანამშრომლები.

წარმოგიდგინთ განკარგულების პროექტს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 27 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის პროექტს.

შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დღემდე შეადგენდა 20 ერთეულს, ხოლო მიმდინარე ეტაპისათვის გათვალისწინებულია ასევე არაუმეტეს 23 ერთეული, რაც იძლევა საშუალებას საჭიროების შემთხვევაში ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილ იქნას დამხმარე სპეციალისტები, რომელებიც შეასრულებენ საჯარო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის ფუნქცია-მოვალეობებს.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:21

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2(ვ. დარჩია, ა. გვიანიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის საკრებულოს წევრის უფლება-მოხილების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი
თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი მიიღება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების მობილური ტელეფონით სასუბრო ყოველთვიური ლიმიტი, შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე - 70 (სამოცდაათი) ლარი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები - 60 (სამოცი) ლარი;

გ) საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე და საკრებულოს სხვა რიგითი წევრები - 50 (ორმოცდაათი) ლარი.

3. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მობილური ტელეფონით სასუბროს დარიცხვა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 21

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 13. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობისათვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დაწესების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით განისაზღვროს საკრებულოს და საკრებულოს აპარატის სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის საწვავის ყოველთვიური ლიმიტი, შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ავტომანქანისათვის - 300 (სამასი) ლიტრი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამსახურებრივი ავტომანქანისათვის - 250 (ორას ორმოცდაათი) ლიტრი;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) სამსახურებრივი ავტომანქანისათვის - 200 (ორასი) ლიტრი;

დ) საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარისა და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის სამსახურებრივი ავტომანქანისათვის - 150 (ას ორმოცდაათი) ლიტრი;

ე) საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეების სამსახურებრივი ავტომანქანისათვის - არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) ლიტრი, რომლის

კონკრეტული ოდენობა აღნიშნული ზედა ზღვარის ფარგლებში განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით;

ვ) საკრებულოს მორიგე ავტომანქანისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ლიმიტის ოდენობა განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით.

წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ სამსახურებრივ ავტომანქანას წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანები, აგრეთვე ქალაქ ბათუმის საკრებულოს მიერ თხოვნების ან იჯარის ფორმით აღებული ავტომანქანები. საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი ავტომანქანები განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტით. წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული საწვავი სამსახურებრივი ავტომანქანის ძრავის შესაბამისად შეიძლება იყოს ბენზინის საწვავი (პრემიუმი) ან დიზელის საწვავი (ევრო დიზელი), რომელიც იქნება არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:21

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

